სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**პოლიტიკის მეცნიერება** Political Science
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი** Master of Political Science
პროგრამის მოცულობა **კრედიტებით და მათი განაწილება**	120 კრედიტი (ECTS): **სავალდებულო სასწავლო კურსები** - 60 კრედიტი (ECTS); **სამაგისტრო ნაშრომი** - 30 კრედიტი (ECTS); **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები** - 20 კრედიტი (ECTS); **თავისუფალი სასწავლო კურსები** -10 კრედიტი (ECTS). **სწავლების სემესტრი:** ოთხი, აქედან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგიტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამისხელმძღვანელები /კოორდინატორი	**მალხაზ მაცაბერიძე** -პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი **ლაშა ჭანტურიძე,** ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი[1]
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; • საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები: • ინგლისური ენის ცოდნა B[2] დონეზე (დამადასტურებელი, ინგლისური ენის B[2] დონე, სერთიფიკატი ან გასაუბრება) - 20 % (გასაუბრება); • წერითი გამოცდა სპეციალობაში - 80 % სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „პოლიტიკის მეცნიერება“ შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა.

[1]ნორვიჩის უნივერსიტეტი, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დირექტორი.

	უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიზანია: • სტუდეტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა პოლიტიკის მეცნიერებაში, შესაბამისად მის სუბდისციპლინებში, რათა მან შეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა დარგის განვითარებასა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში; • პასუხისმგებლიანი და მოტივირებული დარგის სპეციალისტის მომზადება, რომელსაც აქვს დარგობრივი ცოდნისა და კომპეტენციების დემონსტრირების უნარი, რასაც ის ავლენს დასაქმების ადგილას კონკრეტული პოზიციის ფარგლებში; • მოამზადოს პოლიტიკის მეცნიერების ღრმა, სისტემური და ინოვაციური ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით პოლიტიკის მეცნიერების რომელიმე სუბდისციპლინაში კვლევის დამოუკიდებლად ორგანიზება და ჩატარება; პოლიტიკის მეცნიერებაში ახალი, ინოვაციური იდეების შექმნა და საკუთარი წვლილის შეტანა დარგის განვითარებასა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში.
სწავლის შედეგები	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:**
ა) ცოდნა და გაცნობიერება	1.1 სისტემურად აღწერს თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში არსებულ ძირითად თეორიულ მიმართულებებსა და დილემებს; 1.2 აცნობიერებს რა თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ცალკეული მიმართულებების ინტერესისა და გავლენის სფეროებს, განმარტავს აქტუალურ საკითხებს უახლესი თეორიების საფუძველზე. 1.3 სისტემურად და სიღრმისეულად აღწერს პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდოლოგიის ბუნებასა და შეზღუდვებს.
ბ) უნარები	2.1 სხვადასხვა პოლიტიკური პროცესისა და მოვლენის განხილვისას, კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს განსხვავებულ პოლიტიკურ პოზიციებს; 2.2 კრიტიკულად მიმოიხილავს, აჯამებს და აფასებს პოლიტიკის მეცნიერების რომელიმე სუბდისციპლინაში არსებულ დარგობრივ ლიტერატურას; 2.3 დამოუკიდებლად მოიძიებს, აორგანიზებს, აღწერს და ინტერპრეტირებს პირველად და მეორეულ, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს; 2.4 დამოუკიდებლად ირჩევს თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებისთვის აქტუალურ საკვლევ საკითხს, განსაზღვრავს

	და არგუმენტირებულად ასაბუთებს შერჩეულ კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორიულ ჩარჩოს, აგებს კვლევის დიზაინს, აორგანიზებს და ატარებს საველე სამუშაოებს, გამოკვეთს მისი კვლევის ღირებულებას დარგის განვითარების თვალსაზრისით;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	3.1 აკადემიური წერისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით, უახლესი ცოდნის გამოყენებით, დამოუკიდებლად ამზადებს საკვალიფიკაციო ნაშრომს და ეფექტურად, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, წარადგენს ზეპირ პრეზენტაციას; 3.2 დარგის განვითარებისა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის მიზნით, ეთიკური პრინციპების დაცვით, იყენებს საკუთარი ან/და სხვისი აკადემიური ნაშრომის მიგნებებს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ვერბალური (ინტერაქცია, დიალოგი); დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლების მეთოდები.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: • **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; • **ძალიანკარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

- **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F) ჩაიჭრა**–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

	სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[2].“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).

[2] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

	ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	• საჯარო სექტორი (როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი დონის დაწესებულებები); • არასამთავრობო ორგანიზაციები; • საერთაშორისო ორგანიზაციები; • კვლევითი ცენტრები; • პოლიტიკური პარტიები; • კერძო სექტორი.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, პოლიტიკის მეცნიერების და ფაკულტეტის სხვა მიმართულების, აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს

	უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ).
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა გააყალბოს მონაცემები ან სხვა სახის ინფორმაცია, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებული ქმედება დაფიქსირდა, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის

	სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს 30 სტუდენტი. **პროგრამაზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ზოგადი თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს:** პოლიტიკის მეთოდებს, ნაციონალიზსა და გლობალიზაციას, პოლიტიკური რეჟიმებს, დემოკრატიის მოდელებსა და სახელმწიფო მმართველობას, პოლიტიკურ იდეოლოგიებს, სახელმწიფოს როლს, პოლიტიკურ კულტურასა და არჩევნებს. დეტალურად საგამოცდო საკითხებსა და დასამუშავებელ ლიტერატურას შეგიძლიათ გაეცნოთმოცემულ ბმულზე: shorturl.at/yFRY7 **სამაგისტრო ნაშრომების ზოგადი თემატიკა:** სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს საკვლევ თემას და ხელმძღვანელის რეკომენდაციებით აგრძელებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. სტუდენტს შეუძლია საკვლევი თემის არჩევა ისეთი საკითხების გარშემო, როგორიცაა: *პოლიტიკური მეცნიერება: სკოლები და კონცეფციები; ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში; პოლიტიკის ეთიკური ასპექტები; პოლიტიკური თეორია და პოლიტიკური იდეოლოგიები; პოლიტიკური პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი; პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა და სხვა.* **პროგრამის ანალოგი:** აღნიშნული პროგრამის მსგავსი მიზნების, შედეგებისა და შინაარსის მქონე საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება მაგალითად ლისაბონის უნივერსიტეტი, საქართველოში კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბოლო ნახვა 2018 წლის დეკემბერი), რომელთა გაცნობის შემდგომ განხორციელდა შედარებითი ანალიზი და გაზიარეულ იქნა საუკეთესო პრაქტიკა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა

მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის მეცნიერება

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: მალხაზ მაცაბერიძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლაშა ჭანტურიძე, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი[3]

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021 (დანართი № 63)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №32535; 27/12/2021 – 31/12/2028
https://eqe.ge/ka/deqars/443/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი: 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[4] ნომერი და თარიღი): №95/2022 – 07/10/2022; №24/2023 - 20/03/2023; №91/2023 – 11/09/2023; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024.

---

[3]ნორვიჩის უნივერსიტეტი, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დირექტორი.
[4] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი 120კრედიტი (ECTS)														
სავალდებულო სასწავლო კურსები 90 კრედიტი (ECTS) (60 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი)														
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი / ლექტორები
				ლექცია	სემინარი	საგამოცდო საათები	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ		I	II	III	IV	
1		თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: ძირითადი სკოლები და კონცეფციები	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე	✓				მალხაზ მაცაბერიძე ნინო მაისურაძე
2		პოლიტიკური კონსულტირება	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე	✓				მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე
3		თვისებრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი პოლიტიკის მეცნიერებაში	6	15	30	6	99	150	წინაპირობების გარეშე	✓				თამარ ქარაია

4		ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაცია	4	15	30	7	48	100	წინაპირობების გარეშე	✓				მალხაზ მაცაბერიძე
5		ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე		✓			მალხაზ მაცაბერიძე თინათინ ცხოვრებაძე
6		სახელმწიფო და ეკონომიკური პოლიტიკა	4	15	30	7	48	100	წინაპირობების გარეშე		✓			გიორგი მელიქიძე
7		სტრატეგია და სტრატეგიული აზროვნება	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე		✓			მალხაზ მაცაბერიძე ხატია იმერლიშვილი
8		რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი პოლიტიკის მეცნიერებაში	6	15	15	6	114	150	თვისებრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი პოლიტიკის მეცნიერებაში		✓			გიორგი მელიქიძე
9		თანამედროვე პოლიტიკის ეთიკური სტანდარტები	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე			✓		მალხაზ მაცაბერიძე ნათია ზედგინიძე
10		სახელმწიფო მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე			✓		ალექსანდრე სვანიშვილი
11		პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	6	15	15	6	114	150	წინაპირობების გარეშე			✓		მალხაზ მაცაბერიძე ლაშა ჭანტურიძე თამარ ორჯონიკიძე
12		აკადემიური წერა და სამაგისტრო კვლევის დიზაინი	4	30	15	7	48	100	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი			✓		თამარ ქარაია გიორგი მელიქიძე

									პოლიტიკის მეცნიერებაში					
13		სამაგისტრო ნაშრომი	30	30				720	აკადემიური წერა და სამაგისტრო კვლევის დიზაინი				✓	პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)														
თემატური ჯგუფი: პოლიტიკური თეორია და პოლიტიკური იდეოლოგიები														
1		უსაფრთხოების თანამედროვე კვლევები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓				ალექსანდრე კუხიანიძე
2		პოლიტიკური ელიტების და ლიდერობის თეორიები	5	15	15	5	90	125	თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: ძირითადი სკოლები და კონცეფციები		✓			ავთანდილ ტუკვაძე
3		პოლიტიკური თეორია: წარსული და თანამედროვეობა	5	15	30	7	73	125	თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: ძირითადი სკოლები და კონცეფციები		✓			მალხაზ მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე ნინო მაისურაძე
4		საქართველოს საგარეო პოლიტიკის გამოწვევები	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე			✓		კორნელი კაკაჩია
5		პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: ნაციონალიზმი	5	15	15	5	90	125	წინაპირობების გარეშე		✓			მალხაზ მაცაბერიძე დავით მაცაბერიძე

6		პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: სოციალ-დემოკრატია	5	15	15	7	88	125	წინაპირობების გარეშე		✓			მალხაზ მაცაბერიძე
7		პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: ანარქიზმი	5	15	15	5	90	125	წინაპირობების გარეშე			✓		მალხაზ მაცაბერიძე
8		პოლიტიკური ინსტიტუტები: თეორია და საქართველოს რეალობა	5	15	15	5	90	125	1.სპეციალიზებული ინგლისური 2. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: ძირითადი სკოლები და კონცეფციები			✓		გია ჟორჟოლიანი
9		საზოგადოება სახელმწიფო და იდეოლოგიები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			✓		სალომე დუნდუა
თემატური ჯგუფი: პოლიტიკური პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი														
1		პოლიტიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები: თეორიები და საერთაშორისო გამოცდილება	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓				ვლადიმერ ნაფეტვარიძე
2		პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო კამპანია	5	15	30	6	74	125	წინაპირობების გარეშე			✓		მალხაზ მაცაბერიძე ლიკა თეთრაძე
3		საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე			✓		ირინე ჭუმბურიძე
4		ინტერესთა ჯგუფები, ლობიზმი და ადვოკატირება	5	15	30	7	73	125	პოლიტიკური კონსულტირება			✓		მალხაზ მაცაბერიძე ვალერიან დოლიძე მარიანა ქევხიშვილი

5		ლიდერი და ორგანიზაცია	5	15	30	7	73	125	წინაპირობების გარეშე			✓		გიორგი მელიქიძე
თემატური ჯგუფი: შედარებითი პოლიტიკა, პოსტსაბჭოთა სივრცე + სპეციალიზებული ინგლისური ენა														
1		ტერორიზმი და კონტრტერორიზმი	5	15	15	5	90	125	წინაპირობების გარეშე	✓				ალექსანდრე კუხიანიძე
2		კონფლიქტები კავკასიასა და ბალკანეთში	5	30	15	5	75	125	წინაპირობების გარეშე	✓				ჯაბა ურუტაძე
3		სპეციალიზებული ინგლისური ენა	5	30	30	5	60	125	წინაპირობების გარეშე	✓				ლიკა ბერძენიშვილი
4		რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა	5	15	30	8	72	125	წინაპირობების გარეშე		✓			მალხაზ მაცაბერიძე
5		პოლიცია და დემოკრატიის მშენებლობა: შედარებითი ანალიზი	5	30	15	7	73	125	წინაპირობების გარეშე		✓			მალხაზ მაცაბერიძე მიხეილ სადაღაშვილი
6		თანამედროვე სოციალური მოძრაობები: შედარებითი ანალიზი	5	15	30	6	74	125	სპეციალიზებული ინგლისური ენა		✓			თამარ ქარაია
7		რუსეთის პოლიტიკა: პოსტსაბჭოთა პერიოდი	5	15	30	7	73	125	პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა		✓			მალხაზ მაცაბერიძე ალექსანდრე კუხიანიძე
თავისუფალი - 10 ECTS სტუდენტს შეუძლია აირჩიოს პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო ან სხვა ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი - 10 კრედიტის მოცულობით.														

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა_____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტისდეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა_____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი